საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-840

18/10/2018

ქ. თბილისი

სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეძაძამეში ფიზიკური პირი ეკატერინე ნეფარიძის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2512 მ² მიწის ნაკვეთზე ნარგავების მოსარწყავად, სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფიზიკური პირის ეკატერინე ნეფარიძის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2512 მ² მიწის ნაკვეთზე ნარგავების მოსარწყავად, სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამის მიმდებარედ (ს/კ 44.07.23.149). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 107 მეტრში.

ელექტრო ტუმბო განთავსდება მდინარის პირას (მდინარიდან დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლეზე) და გამოყენებული იქნება კომპანია DAB-ის JET 92M მოდელის ტუმბო. მანძილი ტუმბოდან ნაკვეთამდე შეადგენს 17-18 მეტრს. წყლის ამოქაჩვა მოხდება პლასტმასის მილით (32მმ), რომელმაც უნდა გადაკვეთოს იქ არსებული გზის მონაკვეთი. ტუმბოდან უახლოეს სახლამდე მანძილი შეადგენს 150 მეტრს. გამოსაყენებელი წყლის სავარაუდო ჯამური რაოდენობა შეადგენს 4 000 მ³-ს.

საწარმოო პროცესში გამოყენებული იქნება საქმიანობის განმახორციელებლის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ხოლო სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იგეგმება.

კუმულაციური ზემოქმედება აღნიშნული პროექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში არ წარმოიქმნება.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს გარემოს (წყალი, ნიადაგი) დაბინძურება, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ მოწყობითი სამუშაოების შესრულების პროცესისა და ტვირთის ტრანსპორტირების ეტაპზე .

პროექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკებს არ იარსებებს.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სარწყავის მოწყობა და ექსპლუატაცია მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ უზრუნველყოფილი იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეძაძამეში ფიზიკური პირი ეკატერინე ნეფარიძის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2512 m^2 მიწის ნაკვეთზე ნარგავების მოსარწყავად, სარწყავი ქსელის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობისა ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფიზიკური პირი ეკატერინე ნეფარიძე ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფიზიკურ პირს ეკატერინე ნეფარიძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფიზიკური პირი ეკატერინე ნეფარიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი